III ეტაპი

ქ. თბილისი

<u>თარიღი: 29.01.2014</u>

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე

დროებითი კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება N3

„უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და კომისიის 2014 წლის 29 იანვრის N2 გადაწყვეტილების თანახმად:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს კომისიის დღის წესრიგი (დანართი).
2. კომისიის სხდომა გაიმართოს 2014 წლის 31 იანვარს 16:00 საათზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (მის.: ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. N38).
3. დაევალოს კომისიის მდივანს (ლ. იზორია):

ა) კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა;

ბ) კომისიის სხდომის ოქმის შედგენა და კომისიის წევრთა ხელმოწერების უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი

ქ. თბილისი **<u>თარიღი: 31.01.2014 წ.</u>**

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე

დროებითი კომისიის N3 სხდომის დღის წესრიგი:

1. კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის სხდომის გახსნა.

2. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

3. კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიშის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

4. კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

5. კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულება.

6. პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შემუშავებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა და მოწონება.

7. კომისიის საქმიანობის შეჯამება.